Δ_f და Δ_b წარმოადგენენ დამხმარე მსაზღვრელებს:

$$\Delta_f = \begin{vmatrix} A^{376} & \varepsilon_b^{376} \\ A^{398} & \varepsilon_b^{398} \end{vmatrix} = A^{376} \times \varepsilon_b^{398} - A^{398} \times \varepsilon_b^{376} \quad (7)$$


$$\Delta_b = \begin{vmatrix} \varepsilon_f^{376} & A^{376} \\ \varepsilon_f^{398} & A^{398} \end{vmatrix} = A^{398} \times \varepsilon_f^{376} - A^{376} \times \varepsilon_f^{398} \quad (8)$$

მიღებული მონაცემების საფუძველზე (1) გამოსახულების დახმარებით ისაზღვრებოდა ორთო-ნიტროანილინის შეკავშირების მუდმივა K_b .

4. შედეგები და განსჯა


4.1. იონური ზანი-ის AOT-ის უწყლო და წყლიანი მიკროემულსიების სტრუქტურის შესწავლა

o-NA-ის აბსორბციის სპექტრი ჰექსანი/ AOT შებრუნებულ მიკროემულსიაში როგორც AOT -ის კონცენტრაციის ფუნქცია, როდესაც $W_0 = 0$, ნაჩვენებია ნახაზზე 4.1.1. აღსანიშნავია, რომ $W=0$ შეესაბამება სისტემას, რომელშიც არ არის შეტანილი წყალი და წარმოადგენს სისტემას შინაგანი ტენიანობით ($W \approx 0.3$) [165]. როდესაც AOT -ის კონცენტრაცია აღემატება 0.1M, შთანთქმის მაქსიმუმები უცვლელი რჩება. ორთონიტროანილინის ბატოქრომული წანაცვლების უკეთ შესაფასებლად ავაგეთ o-NA-ის შთანთქმის მაქსიმუმების AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების მრუდი (ნახ. 4.1.2).



ნახაზი 4.1.1 .

o-NA -ის შთანთქმის სპექტრი ჰექსანში (◆) 0.0M AOT, (-) 0.01M AOT, (▲) 0.02M AOT, (x) 0.03M AOT, (■) 0.05M AOT, (●) 0.1M AOT, როდესაც $W=0$, $[o-NA]=4.5 \cdot 10^{-5}M$



ნახაზი 4.1.2. o-NA-ის λ_{\max} -ის ცვლილება შებრუნებულ მიკროემულსიაში, როგორც AOT-ის კონცენტრაციის ფუნქცია.


აქედან გამომდინარე, ამ კონცენტრაციაზე სინჯი მთლიანად შეკავშირებულია მიცელასთან. ბმული და თავისუფალი o-NA-ის კონცენტრაცია განსაზღვრულია განტოლებით AOT-ის შუალედური კონცენტრაციით.

o-NA-ის თავისუფალი და ბმული ფორმებისთვის ექსტინქციის დაყვანილი კოეფიციენტები განისაზღვრა 376 ნმ და 398 ნმ ტალღის სიგრძეებისთვის, წინასწარი ცდების საფუძველზე. o-NA-ის AOT-ის საფუძველზე მომზადებულ მიკროემულსიასთან შეკავშირების სიძლიერე შეფასებულია შეკავშირების კონსტანტებით (K_b). o-NA-ის AOT-ის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების კონსტანტები გამოთვლილია o-NA-ის შთანთქმის მონაცემებით ორ ტალღის სიგრძეზე 376 ნმ-სა და 398 ნმ-ზე ჰექსანსა (0.0 M AOT) და 0.1 M AOT/ჰექსანში ზემოთ აღწერილი განტოლებით (1).

ნანორმულეებში ჩაჭერილი წყალი განსხვავდება ჩვეულებრივი მოცულობითი წყლისგან. მაგ. მიცელებში ჩაჭერილი ფერმენტები თავის ოპტიმალურ თვისებებს

ამჟღავნებენ, როდესაც მიცელა გარკვეულ ზომას მიაღწევს. ეს ნიშნავს, რომ ფერმენტების აქტივობა დამოკიდებულია W-ზე [173, 174]. მიკროემულსიის გულში წყალი არსებობს სულ მცირე ორი სტრუქტურის სახით. მიკროემულსიის შიგა ზედაპირთან ახლოს მყოფი წყლის სტრუქტურა განსხვავდება მიცელის წყლიანი ბირთვის გულში არსებული წყლის სტრუქტურისგან. ამასთან, ორივე ეს სტრუქტურა განსხვავებულია თავისუფალი, ქიმიურად სუფთა წყლის სტრუქტურისგან [174].

მიცელურ სისტემაში შეგვქონდა წყალი და ვაკვირდებოდით W-ს გავლენას o-NA-ის AOT-ის შებრუნებულ მიკროემულსიებთან შეკავშირების მუდმივებზე. დიაგრამაზე (ნახ. 4.1.3) მოცემულია W-ს გავლენა o-NA-ის AOT-ისთან შეკავშირების მუდმივების მნიშვნელობაზე.




ნახაზი 4.1.3. ორთონიტროანილინის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა W-ს განსხვავებულ მნიშვნელობებზე: W=0 (1), W=2 (2), W=10 (3) და W=22 (4).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, წყლის დანამატის შეტანა მნიშვნელოვნად ამცირებს o-NA-ის AOT-ის მიცელასთან შეკავშირების მუდმივებს, რადგან კონკურენციას უწევს o-NA-ის AOT-ის პოლარულ თავებთან შეკავშირებაში.


4.1.1. კოსმოტროპული და ქაოტროპული იონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე

შებრუნებული მიცელის გულში არსებულ წყლის წვეთებში იონების შეტანა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, წყალი-იონის ურთიერთქმედების გავლენის გამო წყლის სტრუქტურაზე. კოსმოტროპული იონები უკავშირდებიან წყალს პირველ ჰიდრატულ შრეზე და აწესრიგებენ წყლის სტრუქტურას. ქაოტროპული იონები უკავშირდებიან წყლის მოლეკულებს მეორე ჰიდრატულ შრეზე და არღვევენ წყლის სტრუქტურას [176-178]. ამდენად საინტერესო იყო იონური ნივთიერებების წყალხსნარების შეტანა მიცელურ სისტემაში. იონური კოსმოტროპული და ქაოტროპული ნივთიერებების გავლენის შესწავლის მიზნით, მიკროემულსიაში დანამატის სახით შესატანად შევარჩიეთ კოსმოტროპული ნატრიუმის აცეტატის და ქაოტროპული კალიუმის პერქლორატის წყვილი. ვიღებდით აბსორბციულ სპექტრებს და ვაგებდით ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკებს (ნახ. 4.1.4).



ნახაზი 4.1.4. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე, სისტემაში (●) 0.05M ნატრიუმის აცეტატის და (▲) 0.05M კალიუმის პერქლორატის თანაობისას. W არ არის ფიქსირებული.

ორთო-ნიტროანილინის თავისუფალი/ბმული ფორმების შეფარდებების AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების მრუდები უწყლო, წყლიანი და კალიუმის პერქლორატის და ნატრიუმის აცეტატის წყალხსნარების დანამატების თანაობისას წარმოდგენილია ნახაზზე 4.1.5:




ნახაზი 4.1.5. ორთო-ნიტროანილინის თავისუფალი და ბმული ფორმების ფარდობის დამოკიდებულების გრაფიკი AOT-ის კონცენტრაციაზე. (■) - უწყლო მიცელის შემთხვევაში, (●) - 0.05M ნატრიუმის აცეტატის, (▲) - 0.05M კალიუმის პერქლორატის და (□) - დისტილატის თანაობისას. W არ არის ფიქსირებული.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, წყლის პირველი ულუფის შეტანისას თავისუფალ ფორმაში არსებული o-NA-ის კონცენტრაცია იზრდება, AOT-ის იგივე კონცენტრაციაზე პერქლორატ და აცეტატ-იონების შეტანისას თავისუფალი o-NA -ის კონცენტრაცია იზრდება უწყლო მიკროემულსიაში არსებულ თავისუფალი o-NA -ის კონცენტრაციასთან შედარებით, თუმცა არა იმდენად, როგორც ამას ადგილი აქვს წყლის შემთხვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ულუფის შეტანით მათი ქაოტროპული და კოსმოტროპული ბუნების მიუხედავად, დიდი განსხვავება არ გამოვლინდა. ხოლო, რაც შეეხება o-NA -ის AOT-ის შებრუნებულ მიკროემულსიასთან შეკავშირების მუდმივებს, აღმოჩნდა, რომ კალიუმის

პერქლორატის დანამატთან შედარებით, ნატრიუმის აცეტატის შეტანისას K_b -ს აქვს უფრო მაღალი მნიშვნელობა (ნახ. 4.1.6).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიცელური ქრომატოგრაფიული კვლევისას აღმოჩნდა, რომ შეკავების ფაქტორები აცეტატით მოდიფიცირებული ელუენტი ელუირებისას არის ნაკლები, ვიდრე პერქლორატ იონებით მოდიფიცირებული ელუენტი ელუირების შემთხვევაში [179].




ნახაზი 4.1.6. ორთო-ნიტროანილინის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში ნატრიუმის აცეტატის 0.05M (■) და კალიუმის პერქლორატის 0.05M (□) თანაობისას .

აცეტატ-იონის თანაობისას AOT-ის შებრუნებულ მიცელასთან უფრო მაღალი ხარისხით შეკავშირება შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: კოსმოტროპული აცეტატ-იონი ხელს არ უშლის *o*-NA-ის შეკავშირებას AOT-ის პოლარულ ჯგუფებთან, რადგან ის ლოკალიზებულია მიცელაში არსებული წყლის წვეთის სიღრმეში და არა პერიფერიულ წყალში. მისგან განსხვავებით, ქაოტროპული პერქლორატ-იონები იმყოფება პერიფერიულ წყალში, ამიტომ ისინი ახლოს მიდიან AOT-ის პოლარულ თავებთან და ხელს უშლიან *o*-NA -ის AOT-ის პოლარულ ჯგუფებთან შეკავშირებას. სხვა სიტყვებით: პერქლორატ-იონები კონკურენციას უწევენ *o*-NA-ს AOT-ის


პოლარულ ჯგუფებთან შეკავშირებაში. ეს განაპირობებს შეკავშირების მუდმივების დაბალ მნიშვნელობას პერქლორატ-იონების თანაობისას [179].

კიდევ ერთ ქაოტროპულ და კოსმოტროპულ წყვილად შეირჩა ნატრიუმის ფთორიდი და კალიუმის იოდიდი. მსგავსად პერქლორატ და აცეტატ იონებით მოდიფიცირებული სისტემებისა, გადავიღეთ აბსორბციული შთანთქმის სპექტრები და ბატოქრომული წანაცვლების შესაფასებლად ავაგეთ o-NA-ის შთანთქმის მაქსიმუმების AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკი (ნახ. 4.1.7.).



ნახაზი 4.1.7. o-NA-ის λ_{max} -ის ვარიაცია შებრუნებულ მიკროემულსიაში, როგორც AOT-ის კონცენტრაციის ფუნქცია, 0.05M ნატრიუმის ფთორიდის (●) და 0.05 M კალიუმის იოდიდის (▲) თანაობისას.

თუ შევადარებთ: უწყლო, წყლიანი, კალიუმის იოდიდის და ნატრიუმის ფტორიდის წყალხსნარების დანამატებიან მიკროემულსიებში o-NA-ის თავისუფალი/ზმული ფორმების ფარდობის დამოკიდებულებას AOT-ის კონცენტრაციაზე მივიღებთ შემდეგი სახის მრუდებს (ნახ. 4.1.8):




ნახაზი 4.1.8. ორთო-ნიტროანილინის თავისუფალი და ბმული ფორმების ფარდობის დამოკიდებულების გრაფიკი AOT-ის კონცენტრაციაზე, უწყლო მიცელის შემთხვევაში (■), 0.05M ნატრიუმის ფთორიდის (●), 0.05M კალიუმის იოდიდის (▲) და დისტილატის (□) თანაობისას.

წყლის პირველი ულუფის შეტანისას თავისუფალ ფორმაში არსებული o-NA -ის კონცენტრაცია იზრდება, იგივე კონცენტრაციაზე KI -ის შეტანა ვერ ცვლის სურათს, თავისუფალი o-NA-ის კონცენტრაცია ისევ მაღალია. სულ სხვა სურთია NaF-ის შეტანისას. იგივე კონცენტრაციაზე NaF-ის შეტანის შემთხვევაში ბმული o-NA -ის კონცენტრაცია იზრდება და უფრო ახლოს არის უწყლო სისტემებთან.


გარდა ნატრიუმის ფთორიდის და კალიუმის იოდიდის ბუნების გავლენისა, შევისწავლეთ ფთორიდ და იოდიდ იონების კონცენტრაციის გავლენა o-NA-ის შეკავშირებაზე შებრუნებულ მიკროემულსიასთან. o-NA-ის შეკავშირების კონსტანტები AOT-ის თავურ ჯგუფებთან მარილების ორივე კონცენტრაციაზე იოდიდ-იონის შემთხვევაში არის ნაკლები, ვიდრე ფთორიდ-იონის თანაობისას შებრუნებული მიცელების წყლის წვეთებში (ნახ. 4.1.9). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქაოტროპული იოდიდ-იონები ხელს უშლის o-NA-ის მოლეკულების შეკავშირებას AOT-ის თავურ ჯგუფებთან, ამიტომ იოდიდის

თანაობისას შეკავშირების კონსტანტებს აქვთ დაბალი მნიშვნელობები, ვიდრე კოსმოტროპული ფთორიდ-იონის თანაობისას [180]



ნახაზი 4.1.9. o-NA-ის AOT-ის შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების კონსტანტები 1-0.005M ნატრიუმის ფთორიდის (■), 0.005M - კალიუმის იოდიდის (□) თანაობისას, 2-0.05M ნატრიუმის ფთორიდის (■) და 0.05M - კალიუმის იოდიდის (□) თანაობისას.

შევისწავლეთ ასევე კოსმოტროპული და ქაოტროპული იონების კონცენტრაციის გავლენა o-NA-ის მიკროემულსიასთან შეკავშირების პროცესზე. აღმოჩნდა, რომ ფთორიდ და იოდიდ იონების კონცენტრაციის შემცირებით, მცირდება შეკავშირების მუდმივები, თუმცა ეს ეფექტი შედარებით მცირედ არის გამოხატული კოსმოტროპული იოდიდ-იონის შემთხვევაში (ნახ. 4.1.10).




ნახაზი 4.1.10. o-NA-ის AOT-ის შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების კონსტანტები 1- 0.05M ნატრიუმის ფტორიდის (■) და 0.005M ნატრიუმის ფტორიდის (□) თანაობისას, 2- 0.05M - კალიუმის იოდიდის (■) და 0.005M - კალიუმის იოდიდის (□) თანაობისას.

4.1.2. კოსმოტროპული და ქაოტროპული არაიონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე


არაიონური დანამატის სახით შეირჩა გლუკოზის, გალაქტოზის, შარდოვანას და ქლორალჰიდრატის წყალხსნარები. წყალხსნარები მიკროემულსიაში შეგვქონდა ორი განსხვავებული კონცენტრაციით (0.025M და 0.05M). კვლევა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: 1-დანამატის შეტანა ხდებოდა ისეთი მოცულობით, რომ წყალი/ზან-ის მოლური თანაფარდობა ყოფილიყო ორის ტოლი (ანუ ზან-ის კონცენტრაციის ზრდის პარალელურად იზრდებოდა დანამატის მოცულობა და მიცელების ზომა უცვლელი რჩებოდა, იმატებდა მხოლოდ მიცელების რიცხვი) და 2 -ზან-ის კონცენტრაციის ზრდის მიუხედავად დანამატის მოცულობა არ იცვლებოდა (ანუ ზან-ის კონცენტრაციის ზრდის პარალელურად მცირდებოდა მიცელების ზომები).

მიღებულ მიკროემულსიურ სისტემებში შეგვქონდა ოპტიკური სინჯი და ვილებდით სპექტრებს ულტრაიისფერ-ხილულ უბანში. აღნიშნული სპექტრების საფუძველზე,


ბატოქრომული წანაცვლების უკეთ შესაფასებლად ვაგებდით o-NA-ის შთანთქმის მაქსიმუმების შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკებს (ნახ. 4.1.11-4.1.15).




ნახაზი 4.1.11. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე (■) 0.05M ქლორალ ჰიდრატის და (◇)-0.05M გლუკოზას, (○) - 0.05M გალაქტოზას და (▲) 0.05M შარდოვანას თანაობისას. $W = 2$.




ნახაზი 4.1.12. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე (■) 0.05M ქლორალ ჰიდრატის და (◇)-0.05M გლუკოზას, (○) - 0.05M გალაქტოზას და (▲) 0.05M შარდოვანას თანაობისას. W - არ არის ფიქსირებული.



ნახაზი 4.1.13. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე (■) 0.025M ქლორალ ჰიდრატის და (◇)-0.025M გლუკოზას, (○) - 0.025M გალაქტოზას და (▲) 0.025M შარდოვანას თანაობისას. $W = 2$.




ნახაზი 4.1.14. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე (■) 0.025M ქლორალ ჰიდრატის და (◇)-0.025M გლუკოზას, (○) - 0.025M გალაქტოზას და (▲) 0.025M შარდოვანას თანაობისას. W - არ არის ფიქსირებული.



ნახაზი 4.1.15. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე (■) 0.05M ქლორალ ჰიდრატის და (◇) 0.05M გლუკოზის თანაობისას. $W = 10$.


უწყლო მიკროემულსიაში o-NA ძლიერად უკავშირდება ზან-ის მონომერებს და შესაბამისად, საწყის კონცენტრაციებზე ბმულ ფორმაში არსებული o-NA-ის რაოდენობა არის უფრო მეტი, ვიდრე თავისუფალი ფორმების. მიკროემულსიაში წყლის პირველივე ულუფის შეტანისას თავისუფალ ფორმაში არსებული o-NA-ის რაოდენობა მატულობს წყალსა და o-NA-ს შორის კონკურენციის გამო. ნახაზზე 4.1.16. მოცემულია მიცელაში არსებული o-NA-ის თავისუფალი და ბმული ფორმების ფარდობის AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების მრუდები უწყლო მიცელის შემთხვევაში - (■), 0.025 M გლუკოზის (●), 0.025 M გალაქტოზის (▲), 0.025 M შარდოვანას (Δ) 0.025 M ქლორალ ჰიდრატის (O) და დისტილატის (□) თანაობისას (W არ არის ფიქსირებული). როგორც ნახაზიდან ჩანს, ქაოტროპული ქლორალჰიდრატისა და შარდოვანას წყალხსნარების პირველივე ულუფის შეტანისას მიკროემულსიურ სისტემაში იზრდება o-NA-ის თავისუფალი ფორმების რაოდენობა და უფრო ახლოსა დგას თავისი მნიშვნელობით წყლიანი სისტემის მონაცემებთან. რაც შეეხება კოსმოტროპულ გლუკოზისა და გალაქტოზის წყალხსნარების

დანამატებს, მათი გავლენითაც თავისუფალი o-NA-ის ფორმების რაოდენობა მატულობს, თუმცა არა ისეთი მნიშვნელობით, როგორც ადგილი აქვს ქაოტროპული ქლორალ ჰიდრატის და შარდოვანას წყალხსნარების შემთხვევაში და მათი მნიშვნელობები უფრო ახლოსაა უწყლო სისტემების მნიშვნელობებთან.




ნახაზი 4.1.16. მიცელაში არსებული o-NA-ის თავისუფალი და ბმული ფორმების ფარდობის AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების მრუდები უწყლო მიცელის შემთხვევაში - (■), 0.025 M გლუკოზას (●), 0.025 M გალაქტოზას (▲), 0.025 M შარდოვანას (Δ) 0.025 M ქლორალჰიდრატის (○) და დისტილატის (□) თანაობისას. (W არ არის ფიქსირებული)

ქაოტროპული და კოსმოტროპული არაიონური დანამატების გავლენის შესაფასებლად o-NA-ის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივებზე, გამოვყავით ორი წყვილის სახით: 1 - კოსმოტროპული გლუკოზა და ქაოტროპული შარდოვანა და 2 - კოსმოტროპული გალაქტოზა და ქაოტროპული ქლორალჰიდრატი. ნახაზზე 4.1.17 და 4.1.18 ნაჩვენებია o-NA-ის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში გლუკოზის (■) და შარდოვანას თანაობისას, განსხვავებულ კონცენტრაციებსა და სხვადასხვა W-ზე.



ნახაზი 4.1.17. ორთო-ნიტროანილინის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში 0.025 M გლუკოზის (■) და 0.025 M შარდოვანას თანაობისას(□): 1- W=2; 2- W=7; 3- W=11; 4-W=22.


$[o\text{-NA}] = 4.5 \cdot 10^{-5} \text{M}$



ნახაზი 4.1.18. ორთო-ნიტროანილინის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში 0.05 M გლუკოზის (■) და 0.05 M შარდოვანას თანაობისას (□), როდესაც: 1- W=2; 2- W=7; 3- W=11. $[o\text{-NA}] = 4.5 \cdot 10^{-5} \text{M}$

ნახაზზე 4.1.19. მოცემულია o-NA-ის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში კოსმოტროპული

გალაქტოზასა და ქაოტროპული ქლორალჰიდრატის თანაობისას განსხვავებულ W-ებზე.




ნახაზი 4.1.19. ორთო-ნიტროანილინის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში 0.025 M გალაქტოზასა (■) და 0.025 M ქლორალ ჰიდრატის თანაობისას (□): 1- W=7; 2- W=11; 3-W=22. [o-NA]= $4.5 \cdot 10^{-5}M$

როგორც აღმოჩნდა, ორივე წყვილის შემთხვევაში o-NA-ის AOT-ის პოლარულ ჯგუფებთან შეკავშირების მნიშვნელობები არაიონური დანამატების თანაობისას კოსმოტროპული არაიონური ნივთიერებების შემთხვევაში არის უფრო მაღალი, ვიდრე ქაოტროპულის თანაობისას. ეს მანიშნებელია იმისა, რომ გლუკოზა და გალაქტოზა, შარდოვანასა და ქლორალ ჰიდრატისგან განსხვავებით ლოკალიზებულია მიცელის გულში არსებული წყლის წვეთის ცენტრში და ხელს არ უშლის o-NA-ის შეკავშირებას AOT-ის თავურ პოლარულ ჯგუფებთან. ხოლო, იმის გამო, რომ შარდოვანა და ქლორალ ჰიდრატი ლოკალიზდება ბმული წყლის ფრაქციაში, ახლოს მიდის AOT-ის თავურ ჯგუფებთან, შესაბამისად მცირდება ბმული წყალი, რის ხარჯზეც იზრდება თავისუფალი წყლის ფრაქცია [181]. შედეგი თანხვედრაშია ლიტერატულ მონაცემთანაც, რომლის მიხედვითაც შარდოვანას

მოლეკულები ძირითადად ლოკალიზებულნი არიან პერიფერიულ წყლებში, ანუ AOT-ის თავურ ჯგუფებთან ახლოს მყოფ წყლის ფრაქციაში [182].


4.1.3. კათიონების გავლენის შესწავლა AOT-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე

მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა AOT/ჰექსანის საფუძველზე მომზადებული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემო და გამოგვეკვლია მიცელის გულში არსებულ წყლის წვეთში შეტანილი კათიონების გავლენა o-NA-ს მიცელასთან შეკავშირების მუდმივებზე. წყლის წვეთის სტრუქტურაზე კათიონების გავლენის გამოსაკვლევად შევარჩიედ ქლორიდ-ანიონი, როგორც ნეიტრალური ბუნების მქონე ჰოფმაისტერის სერიიდან და მათთან კომბინაციაში ლითიუმის, ნატრიუმის და კალიუმის კათიონები. შერჩეულ კათიონებში კოსმოტროპული ეფექტი იზრდება შემდეგ რიგში: Li^+ , Na^+ და K^+ . აღნიშნული ქლორიდები წყალხსნარის სახით შეგვექონდა ზან-ის მზარდი კონცენტრაციის სერიაში და ვაკვირდებოდით სპექტრულ ცვლილებებს. იმისათვის, რომ შეგვეფასებინა, თუ როგორია ბატოქრომული გადანაცვლება მარილების წყალხსნარების თანაობისას, ავაგეთ შთანთქმის მაქსიმუმების AOT-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების მრუდები (ნახ. 4.1.20). ნახაზიდან ჩანს, რომ 0.1 M AOT-ის კონცენტრაციის შემდგომი ზრდისას შთანთქმის მაქსიმუმების ზრდა აღარ ხდება არც წყლის და არც მარილების წყალხსნარების თანაობისას, მრუდები გადის პლატოზე, რაც ნიშნავს, რომ o-NA მთლიანადაა შეკავშირებული შებრუნებული მიცელის თავურ ჯგუფებთან.



ნახაზი 4.1.20 ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე (□) - უწყლო მიკროემულსიის შემთხვევაში ($W=0$), (○) - წყლის, (■) - 0.05M ნატრიუმის ქლორიდის, (▲) - 0.05M ლითიუმის ქლორიდის და (●) - 0.05M კალიუმის ქლორიდის თანაობისას. $W=2$.

თუ შევადარებთ o-NA-ის AOT-ის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივებს, დიაგრამა (ნახ.4.1.21) გვიჩვენებს, რომ შეკავშირების მუდმივები იზრდება წყლის წვეთებში Li^+ , Na^+ და K^+ იონების თანაობისას, რაც აიხსნება იმით, რომ რაც უფრო მეტად ავლენს იონი ქაოტროპულ უნარს, მით უფრო მეტად აკუმულირდება თავისუფალ წყალში და შედეგად არ ახდენს გავლენას თავურ ჯგუფებთან ბმულ წყალზე. ბმული წყალი კი ხელს უშლის ორთო-ნიტროანილინის შეუკავშირდეს AOT-ის თავურ ჯგუფებს.




ნახაზი 4.1.21. ორთო-ნიტროანილინის (AOT/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში (1) - წყლის, (2) - 0.05M ლითიუმის ქლორიდის, (3) - 0.05M ნატრიუმის ქლორიდისა და (4) - 0.05M კალიუმის ქლორიდის თანაობისას. $W=2$.

შეკავში

რების კონსტანტები.


4.2. Brij-30-ის უწყლო და წყლიანი შებრუნებული მიკროემულსიის შესწავლა

აღნიშნულ ქვეთავში განხილულია არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერების Brij-30-ის შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა. ვაკვირდებით Brij-30-ის კონცენტრაციის ზრდის გავლენით *o*-ნიტროანილინის სპექტრების ცვლილებას UV-უბანში. სპექტრულ ცვლილებებს იწვევს *o*-ნიტროანილინის შეკავშირება Brij-30-ის პოლიოქსიეთილენურ პოლარულ ბოლოებთან, რის გამოც ბატოქრომულ გადანაცვლებას აქვს ადგილი ჰექსანში გადაღებულ სპექტრებთან შედარებით. უწყლო მიკროემულსიაში *o*-NA-ის გადაღებული სპექტრები Brij-30-ის კონცენტრაციის ცვლილებისას მოცემულია ნახაზზე 4.2.1. იმისათვის, რომ შეგვეფასებინა, თუ როგორია გადანაცვლება, ავაგეთ შთანთქმის მაქსიმუმების Brij-30-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების მრუდი (ნახაზი 4.2.2). ნახაზიდან ჩანს, რომ 0.46×10^{-2} M Brij-30-ის კონცენტრაციის შემდგომი ზრდისას შთანთქმის მაქსიმუმების ზრდა აღარ ხდება ანუ მრუდი გადის პლატოზე. ეს ნიშნავს რომ *o*-NA მთლიანადაა შეკავშირებული მიცელასთან.




ნახაზი 4.2.1. ორთო-ნიტროანილინის აბსორბციის სპექტრი ჰექსანში Brij-30 -ის კონცენტრაციის ცვლილებისას, (◆) 0.0 M Brij-30, (■) 0.13x10⁻²M Brij-30; (▲) 0.91x10⁻²M Brij-30; (◇) 2.72 x10⁻²M Brij-30; (-) 5.7 x10⁻²M Brij-30; (Δ) 23.4x10⁻²M Brij-30; (□) 46 x10⁻²M Brij-30; (○) 69 x10⁻²M Brij-30; (●) 92 x10⁻²M Brij-30; (x) 115 x10⁻²M Brij-30;

[o-NA]=4.5·10⁻⁵M




ნახაზი 4.2.2. o-NA-ის λ_{max}-ის ცვლილება შებრუბულ მიკროემულსიაში, როგორც Brij-30-ის კონცენტრაციის ფუნქცია. W=0.

ანალოგიურად იგებოდა მრუდები მიცელურ სისტემაში წყლის და იონური ნივთიერებების წყალხსნარების დანამატის შემთხვევაშიც (ნახაზი 4.2.3.).



ნახაზი 4.2.3. o-NA-ის λ_{max}-ის ცვლილებები შებრუნებულ მიკროემულსიაში, როგორც Brij-30-ის კონცენტრაციის ფუნქცია წყლის თანაობისას. W=1.

როგორც აღმოჩნდა, შებრუნებულ მიცელაში წყლის დანამატის შეტანა ხელს უშლის ორთო-ნიტროანილინის მიცელასთან შეკავშირებას, რაც შეკავშირების მუდმივების შემცირებაში გამოიხატება (ნახ. 4.2.4).



ნახაზი 4.2.4. ორთონიტროანილინის (Brij-30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა. W=0 (■1) და W=1 (□ 2) .


4.2.1. Brij-30-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე იონური ნივთიერებების წყალხსნარების გავლენის შესწავლა

Brij-30-ის შებრუნებულ მიკროემულსიურ სისტემაში შევიტანეთ ჩვენთვის საინტერესო იონები აცეტატი და პერქლორატი ბუნებრივი pH-ით. დავაკვირდით სპექტრულ ცვლილებებს.

ლიტერატურიდან არის ცნობილი, რომ შებრუნებული მიკროემულსიის ზომები მნიშვნელოვნად იცვლება ზან-ის კონცენტრაციის გაზრდით [184]. ზოგადად შებრუნებულ მიკროემულსიებში შემდეგი კანონზომიერებაა დაფიქსირებული: ა) შებრუნებული მიკროემულსიის ზომა იცვლება წყლის მოცულობის ცვლილებით ზან-ის მუდმივ კონცენტრაციაზე; ბ) წყლის მუდმივი მოცულობის პირობებში ზან-ის კონცენტრაციის ზრდა იწვევს შებრუნებული მიკროემულსიების ზომის შემცირებას გ) შებრუნებული მიკროემულსიების ზომები რჩება უცვლელი, როდესაც როგორც ზან-ის, ასევე წყლის კონცენტრაცია უცვლელი რჩება, ამ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ შებრუნებული მიცელების რიცხვი.

თუ შევადარებთ o-NA Brij-30-ის მიცელასთან შეკავშირების მუდმივებს (ნახ. 4.2.5), დავინახავთ, რომ პერქლორატის თანაობისას შეკავშირების მუდმივები უფრო მაღალი მნიშვნელობისაა, ვიდრე აცეტატის თანაობისას. ეს შედეგი შეიძლება განვმარტოთ შემდეგ მოსაზრებაზე დაყრდნობით: ინფრაწითელი სპექტრომეტრული მეთოდით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით [185], პოლიოქსიეთილენურ ჯგუფებთან ბმული წყლის ფრაქცია ნაკლებია პერქლორატ იონის დანამატისას აცეტატ იონის დანამატთან შედარებით. აქედან გამომდინარე o-NA-ის შეკავშირება Brij-30-ის პოლარულ თავებთან უკეთესად ხდება და ეს განაპირობებს შეკავშირების მუდმივების მაღალ მნიშვნელობას პერქლორატ იონის დანამატის შემთხვევაში აცეტატ იონთან შედარებით. ამის საპირისპიროდ, ბმული წყლის ფრაქცია აცეტატ


იონის დანამატის შემთხვევაში არის შედარებით მაღალი, ვიდრე პერქლორატ-იონის დანამატის თანაობისას, რაც აფერხებს o-NA-ის შეკავშირებას Brij-30-ის პოლარულ თავებთან შეკავშირების პროცესს და შედეგად, შეკავშირების მუდმივები არის დაბალი აცეტატ-იონის დანამატისას, ვიდრე პერქლორატ-იონის დანამატის თანაობისას [185].



ნახაზი 4.2.5. ორთონიტროანილინის (Brij-30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში ნატრიუმის აცეტატის 0.05M (■) და ნატრიუმის პერქლორატის 0.05M (□) თანაობისას. $W=1$. $[o-NA]=4.5 \cdot 10^{-5}M$

ეს ახსნა შეიძლება დამატებით დადასტურდეს o-NA-ის ბმული და თავისუფალი ფრაქციების მოლურ კონცენტრაციებზე დაყრდნობით. როგორც ნახაზიდან 4.2.6 ჩანს, თავისუფალი და ბმული o-NA-ის მოლური კონცენტრაციების ფარდობა ($[o-NA]_f/[o-NA]_b$) Brij-30-ის დაბალ კონცენტრაციაზე მაღალია, როდესაც შებრუნებული მიცელის წყლიან გულში შეტანილია აცეტატ იონი, პერქლორატ იონის დანამატთან შედარებით. რაც ნიშნავს, რომ o-NA-ის შეკავშირებას Brij-30-ის შებრუნებული მიცელის პოლიოქსიეთილენურ თავურ ჯგუფებთან ხელს უწყობს პერქლორატ-იონის დანამატის თანაობა, აცეტატის იონებთან შედარებით. რადგან პერქლორატ-

იონი ახლოს მიდის წყალი/ზან შიგა ზედაპირთან და არღვევს წყალი-Brij-30-ის პოლიოქსიეთილენურ ჯგუფებს შორის წყალბადურ ბმებს, რითაც აადვილებს o-NA-ის შეკავშირების პროცესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ Brij-30-ის მაღალ კონცენტრაციებზე თავისუფალი და ბმული o-NA-ის მოლური კონცენტრაციების ფარდობას შორის განსხვავება არ შეინიშნება.




ნახაზი 4.2.6. მიცელაში არსებული o-NA-ის თავისუფალი და ბმული ფორმების ფარდობის Brij-30-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკი, (Δ)-ნატრიუმის აცეტატის და (●)-კალიუმის პერქლორატის თანაობისას.

მოცემული მსჯელობის განსამტკიცებლად, შევისწავლეთ ქაოტროპული ბრომიდ იონის, კოსმოტროპული ფთორიდ იონის და ნეიტრალური ქლორიდ იონის გავლენა o-NA-ის Brij-30-ის პოლარულ ჯგუფებთან შეკავშირების მუდმივებზე.


o-NA-ის Brij-30-ის შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების მუდმივები მაღალია ბრომიდ იონის თანაობისას, ვიდრე ფთორიდ იონის შემთხვევაში (ნახ. 4.2.7). ქლორიდ იონის თანაობისას შეკავშირების მუდმივებს შუალედური მდგომარეობა უკავიათ. ეს შედეგი შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: ქაოტროპულ ბრომიდ იონს აქვს შედარებით დიდი იონური რადიუსი, შესაბამისად მცირედ არის

ჰიდრატირებული, ამის გამო ახლოს მიდის წყალი/ზან-ის გამყოფ ზედაპირთან, შეაღწევს ზან-ის პოლარულ შრეში და იწვევს წყალბადური ბმების რღვევას წყალსა და არაიონური ზან-ის Brij-30-ის პოლიოქსიეთილენურ ჯგუფებს შორის. აქედან გამომდინარე, o-NA-ის Brij-30-ის პოლარულ ჯგუფებთან შეკავშირება უკეთესად ხდება და შეკავშირების მუდმივები შესაბამისად მაღალია. კოსმოტროპული ფთორიდ იონები მათი მცირე რადიუსის გამო არიან ძლიერ ჰიდრატირებულნი, მისწრაფიან წყლის წვეთის ცენტრისკენ და არ ლოკალიზდებიან პერიფერიულ წყალში. ისინი ხელს არ უშლიან პოლიოქსიეთილენური ჯგუფების ჰიდრატირებას, აქედან გამომდინარე, o-NA-ის Brij-30-ის პოლარულ ჯგუფებთან ნაკლებია და შეკავშირების მუდმივები დაბალია, ვიდრე ბრომიდ იონების თანაობისას. ქლორიდ იონს უკავია შუალედური მდგომარეობა კოსმოტროპულ და ქაოტროპულ იონებს შორის. ამ თვალსაზრისით იგი ნეიტრალურ იონებად ითვლება.



ნახაზი 4.2.7. o-NA-ს (Brij-30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში ნატრიუმის ფთორიდის 0.05M (1), ნატრიუმის ქლორიდის 0.05M (2) და ნატრიუმის ბრომიდის 0.05M (3) თანაობისას. W=1. [o-NA]= $4.5 \cdot 10^{-5}M$


შემოთავაზებული ახსნა შეიძლება დამატებით დადასტურდეს o-NA-ის თავისუფალი და ბმული ფრაქციების მოლური კონცენტრაციების გათვალისწინებით. როგორც ნახაზზეა მოცემული (ნახ. 4.2.8), ზემოთ აღნიშნული კონცენტრაციების თანაფარდობა ($[o-NA]_{\text{free}}/[o-NA]_{\text{bound}}$) Brij-30-ის დაბალ კონცენტრაციაზე არის მაღალი წყლის წვეთში ფთორიდ იონის თანაობისას ვიდრე ბრომიდ იონის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ o-NA-ს შეკავშირება Brij-30-ის პოლიოქსიეთილენურ ჯგუფებთან შემცირებულია ბრომიდ იონის თანაობისას ფთორიდ იონთან შედარებით. ეს შეიძლება აიხსნას ანალოგიურად, როგორც შეკავშირების მუდმივების შემთხვევაში, ეპოტროპული ბრომიდი იონები ახლოს მიდის წყალი/ზან-ის გამყოფ ზედაპირთან, არღვევს არაიონური ზან-ის Brij-30-ის ოქსიეთილენურ ჯგუფებთან შეკავშირებულ წულის სტრუქტურას, რითაც აიოლებს ამ ჯგუფებთან o-NA-ის შეკავშირებას. Brij-30-ის მაღალ კონცენტრაციებზე ეს განსხვავება ($[o-NA]_{\text{free}}/[o-NA]_{\text{bound}}$) ფრაქციებს შორის არ ფიქსირდება ორივე იონის შემთხვევაში.




ნახაზი 4.2.8. მიცელაში არსებული o-NA-ის თავისუფალი და ბმული ფორმების ფარდობის Brij-30-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკი, (●)-ნატრიუმის ფთორიდის და (■)-ნატრიუმის ბრომიდის თანაობისას. $W=1$.

4.2.2. Brij-30-ის შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე იონური ნივთიერებების წყალხსნარების pH-ის გავლენის შესწავლა

განსაკუთრებით საინტერესო დამოკიდებულება გამოვლინდა K_b -ს და მარილების წყალხსნარების pH-ის მნიშვნელობებს შორის. ნახაზზე- 4.2.9 ნაჩვენებია ორთო-ნიტროანილინის (Brij30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა 0.05 M ნატრიუმის აცეტატის (\square) pH- 3.8 და 0.05 M ნატრიუმის აცეტატის (\blacksquare) pH=7.8 თანაობისას. კოსმოტროპული აცეტატის იონების თანაობისას შეკავშირების მუდმივების მნიშვნელობები pH=3.8-ზე, უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი მნიშვნელობები, როცა pH=7.8.




ნახაზი 4.2.9. ორთო-ნიტროანილინის (Brij30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა 0.05 M ნატრიუმის აცეტატის (\square) pH=3.8 და 0.05 M ნატრიუმის აცეტატის (\blacksquare) pH=7.8 თანაობისას. W=1.




ნახაზი 4.2.10. ორთო-ნიტროანილინის (Brij-30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა 0.05 M კალიუმის პერქლორატისა (\square) pH=3.8 და 0.05 M კალიუმის პერქლორატის (\blacksquare) pH=7.8 თანაობისას. $W = 1$.


ორთო-ნიტროანილინის (Brij-30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა (ნახაზი 4.2.10.) 0.05M კალიუმის პერქლორატისა (\square) pH-3.8 და 0.05 M კალიუმის პერქლორატის (\blacksquare) pH-7.8 თანაობისას გვიჩვენებს, რომ პერქლორატ-იონის შემთხვევაში, აცეტატ-იონისგან განსხვავებით, შეკავშირების მუდმივების მნიშვნელობები pH-7.8-ზე არის უფრო მაღალი, ვიდრე შესაბამისი მნიშვნელობები pH-3.8-ზე.



ნახაზი 4.2.11. ორთო-ნიტროანილინის (Brij-30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა 0.05 M ნატრიუმის აცეტატის (\square) pH=3.8 და 0.05 M კალიუმის პერქლორატის (\blacksquare) pH=3.8 თანაობისას. W=1



ნახაზი 4.2.12. ორთო-ნიტროანილინის (Brij30/Hx) შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა 0.05 M ნატრიუმის აცეტატის (\square) pH=7.8 და 0.05 M კალიუმის პერქლორატის (\blacksquare) pH=7.8 თანაობისას. W=1.



ნახაზი 4.2.13. წყლის წვეთების pH-ის გავლენა არაიონური ზან-ის ოქსიეთილენური ჯგუფების პროტონირებაზე [186].


ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არაიონური ზან-ის პოლარული პოლიოქსიეთილენური თავების პროტონიზაციით, დაბალ pH-ზე (ნახაზი 4.2.11). პროტონირებულ ოქსიეთილენურ ჯგუფებთან უფრო ახლოს მივა პერქლორატ იონი ღარიბი ჰიდრატული გარსით ქაოტროპული ბუნების გამო და ხელს შეუშლის ორთო ნიტროანილინს შეუკავშირდეს პოლიოქსიეთილენურ ჯგუფებს. შესაბამისად პერქლორატის შემთხვევაში დაბალ pH-ზე შეკავშირების მუდმივებს მცირე მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აცეტატის იონების თანაობისას (ნახაზი 4.2.9). ამასთან, აცეტატ-იონები დაბალ pH-ზე იმყოფება მოლეკულურ მდგომარეობაში და ვერ უშლის ხელს o-NA-ის მოლეკულებს შეუკავშირდეს პოლიოქსიეთილენურ ჯგუფებს.

მაღალ pH-ზე წყლის წვეთებში ჩაძირული პოლიოქსიეთილენური ჯგუფები დეპროტონირებულია, ამის გამო პერქლორატ-იონი მხოლოდ პოლიოქსიეთილენური ჯგუფების ჰიდრატულ ფენას არღვევს, რითაც აადვილებს o-NA-ის შეკავშირებას ოქსიეთილენურ თავებთან, შესაბამისად, შეკავშირების მუდმივის მნიშვნელობა პერქლორატის თანაობისას აჭარბებს მის მნიშვნელობას აცეტატის შემთხვევაში (ნახაზი 4.2.10).


4.3. შერეული მიკროემულსიების სტრუქტურის შესწავლა

4.3.1. AOT და Brij-30-ის უწყლო და წყლიანი შერეული სისტემების მიკროგარემოს შესწავლა

მიკროემულსიები მზადდებოდა AOT-ის და Brij-30-ის ჰექსანში ხსნარების შერევით. ამასთან, Brij-30-ის კონცენტრაცია შეადგენდა 0.01M. მიღებული შერეული მიკროემულსიების მიკროპოლარობა შეისწავლებოდა o-NA-ის სპექტრული ცვლილებების საფუძველზე AOT-ის მზარდი კონცენტრაციების პირობებში (ნახაზი 4.3.1-4.3.2).




ნახაზი 4.3.1. o-NA -ის შთანთქმის სპექტრი ჰექსანში: (◆) 0.0M AOT+0.0M Brij-30, (---) 0.01M AOT, (▲) 0.02M AOT, (x)0.03M AOT, (■) 0.05M AOT, (●)0.1M AOT, (○)0.12 M AOT, (□) 0.15 M AOT. მიკროემულსიაში 0.01M Brij-30-ის თანაობისას, როდესაც $W=0$, $[o-NA]=4.5 \cdot 10^{-5}M$



ნახაზი 4.3.2. o-NA-ის λ_{\max} -ის ცვლილებები შებრუნებულ მიკროემულსიაში, როგორც AOT-ის კონცენტრაციის ფუნქცია მიკროემულსიაში 0.01M Brij-30-ის თანაობისას, $W=0$.

ისაზღვრებოდა o-NA-ის შერეულ (AOT+Brij-30) პოლარულ თავურჯგუფებთან შეკავშირების მუდმივები. მიკროემულსიაში წყლის დანამატის შეტანისას შეკავშირების მუდმივები მცირდება (ნახაზი 4.3.3), რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ წყალი კონკურენციას უწევს ორთო-ნიტროანილინს მიცელასთან შეკავშირებაში.




ნახაზი 4.3.3. ორთო-ნიტროანილინის (AOT+Brij-30) შერეულ შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა უწყლო მიკროემულსიის (■) და წყლიანი დანამატის (□) შემთხვევაში.

4.3. 1.1. AOT და Brij-30-ის შებრუნებული შერეული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა იონური ნივთიერებების თანაობისას


იონური ნივთიერებების წყალხსნარების შეტანისას ორთო-ნიტროანილინის მიკროემულსიასთან სრულად შეკავშირება ფიქსირდება AOT-ის კონცენტრაციაზე 0.1M, მსგავსად მხოლოდ AOT/Hx-ის საფუძველზე მომზადებული მიკროემულსიისა (ნახაზი 4.3.4-4.3.5.).

ქაოტროპული და კოსმოტროპული მარილების წყალხსნარების, გავლენის შესწავლა ორთო-ნიტროანილინის მიკროემულსიასთან შეკავშირებაზე მიმდინარეობდა ორი გზით: 1) AOT-ის კონცენტრაციის ზრდის მიუხედავად, ყველა სისტემაში შეგვექონდა ერთი და იგივე მოცულობის წყალხსნარების დანამატი, ანუ AOT-ის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად სისტემაში იზრდებოდა მიცელების რიცხვი და 2) AOT-ის კონცენტრაციის ზრდის პარალელურად, იზრდებოდა შეტანილი წყალხსნარის მოცულობაც ისე, რომ $W=2$, ანუ AOT-ის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად


სისტემაში იზრდებოდა მიცელების წყლის წვეთების ზომა. შედეგები მოცემულია ნახაზებზე .



ნახაზი 4.3.4. o-NA-ის λ_{\max} -ის ვარიაცია შებრუნებულ მიკროემულსიაში, როგორც (AOT+Brij 30) -ის კონცენტრაციის ფუნქცია 0.05M ნატრიუმის აცეტატის (▲) და 0.05M კალიუმის პერქლორატის (■) თანაობისას, როდესაც $W=2$.



ნახაზი 4.3.5. ორთო-ნიტროანილინის (AOT+Brij-30) შერეულ შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში ნატრიუმის აცეტატის 0.05M (■) და კალიუმის პერქლორატის 0.05M (□) თანაობისას. W-არ არის ფიქსირებული.



ნახაზი 4.3.6. ორთო-ნიტროანილინის (AOT+Brij-30) შერეულ შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში ნატრიუმის აცეტატის 0.05M (■) და კალიუმის პერქლორატის 0.05M (□) თანაობისას. W=2.


ორივე შემთხვევაში ორთო-ნიტროანილინის AOT+Brij-30-ის შებრუნებულ შერეულ მიცელებთან შეკავშირების მუდმივების მნიშვნელობები უფრო მაღალია კოსმოტროპული აცეტატის შემთხვევაში, ვიდრე ქაოტროპული პერქლორატის

თანაობისას, რაც მიუთითებს, რომ o-NA-ის AOT+Brij-30-ის შებრუნებულ შერეულ მიცელებთან შეკავშირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იონების კოსმოტროპული თუ ქაოტროპული ბუნება. კერძოდ, კოსმოტროპული აცეტატი, ჰიდრატირდება და ვერ უშლის ხელს ოპტიკური სინჯის მიცელების თავურ ჯგუფებთან შეკავშირებას, იმ დროს, როცა ქაოტროპული პერქლორატი, ღარიბი ჰიდრატული შრის გამო ახლოს მიდის თავურ ჯგუფებთან, ლოკალიზდება პერიფერიულ წყალში, რის გამოც ხელს უშლის o-NA-ს შეუკავშირდეს თავურ ჯგუფებს. შესაბამისად, შეკავშირების მუდმივები (AOT+Brij-30) სისტემაში აცეტატის თანაობისას აჭარბებს მათ მნიშვნელობას კალიუმის პერქლორატის შემთხვევაში.

4.3.2. AOT-ის და Brij-30-ის შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა არაიონური ნივთიერებების თანაობისას

არაიონური ნივთიერებებიდან მიკროემულსიის დანამატებად შეირჩა გლუკოზის და შარდოვანას წყალხსნარები.

ორთო-ნიტროანილინის AOT+Brij-30-ის საფუძველზე მომზადებულ შერეულ შებრუნებულ მიცელებთან შეკავშირების მუდმივების მნიშვნელობები უფრო მაღალია გლუკოზის დანამატის შემთხვევაში, ვიდრე შარდოვანას დანამატის თანაობისას.




ნახაზი 4.3.7. ორთო-ნიტროანილინის (AOT+Brij-30) შერეულ შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში გლუკოზის 0.05M წყალხსნარისა (■) და შარდოვანას 0.05M წყალხსნარის (□) თანაობისას.


როგორც იონური კოსმოტროპებისა და ქაოტროპების შემთხვევაში, ასევე არაიონური კოსმოტროპი გლუკოზისა და ქაოტროპი შარდოვანას თანაობისას, o-NA-ის AOT+Brij-30-ის შებრუნებულ შერეულ მიცელებთან შეკავშირებაზე მნიშვნელოვანია აღნიშნული ნივთიერებების კოსმოტროპული თუ ქაოტროპული ბუნება. კერძოდ, შარდოვანა თავურ ჯგუფებთან ახლოს მიდის და ზღუდავს o-NA-ის შეკავშირებას ამ ჯგუფებთან.

4.3.3. Brij-30-ისა და AOT-ის უწყლო და წყლიანი შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა.

მიკროემულსიები მზადდებოდა Brij-30-ის და AOT -ის ჰექსანში ხსნარების შერევით. ამასთან, AOT-ის კონცენტრაცია შეადგენდა 0.01M. მიღებული შერეული მიკროემულსიების მიკროპოლარობა შეისწავლებოდა o-NA-ის სპექტრული ცვლილებების საფუძველზე Brij-30-ის მზარდი კონცენტრაციების პირობებში (ნახაზი 4.3.8-4.3.9).




ნახაზი 4.3.8. o-NA -ის შთანთქმის სპექტრი ჰექსანში (◆)- 0.0 M Brij-30+ 0.0 M AOT, (--) - $1.3 \cdot 10^{-3}$ M Brij-30, (▲)- $9.1 \cdot 10^{-3}$ M Brij-30, (×)- $2.72 \cdot 10^{-2}$ M Brij-30, (■) - $11.7 \cdot 10^{-2}$ M Brij-30, (●)- $23.4 \cdot 10^{-2}$ M Brij-30. მიკროემულსიაში 0.01M AOT -ის თანაობისას, $W=0$, $[o-NA]=4.5 \cdot 10^{-5}$ M



ნახაზი 4.3.9. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შერეულ შებრუნებულ მიცელაში Brij-30 -ის კონცენტრაციაზე, მიკროემულსიაში 0.01M AOT -ის თანაობისას. W -არ არის ფიქსირებული.

ისაზღვრებოდა o-NA-ის შერეულ (Brij-30+AOT) სისტემებში პოლარულ თავურ ჯგუფებთან შეკავშირების მუდმივები. მიკროემულსიაში წყლის დანამატის შეტანისას შეკავშირების მუდმივები მცირდება (ნახაზი 4.3.10), რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ წყალი კონკურენციას უწევს o-NA-ის მიცელასთან შეკავშირებაში.




ნახაზი 4.3.10. ორთო-ნიტროანილინის (Brij-30+AOT) შერეულ შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა უწყლო მიკროემულსია (1) და წყლის თანაობისას, როდესაც $W=1$ (2).


4.3.4. Brij-30-ისა და AOT-ის შერეული შებრუნებული მიკროემულსიის მიკროგარემოზე იონური ნივთიერებების გავლენის შესწავლა.

(Brij-30+AOT)-ის შერეულ შებრუნებულ მიკროემულსიურ სისტემაში შევიტანეთ ჩვენთვის საინტერესო აცეტატ და პერქლორატ-იონები ბუნებრივი pH-ით და ვაკვირდებოდით სპექტრულ ცვლილებებს.

(ნახაზი 4.3.11.)



ნახაზი 4.3.11. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შერეულ შებრუნებულ მიცელაში Brij-30 -ის კონცენტრაციაზე (●) 0.05M ნატრიუმის აცეტატის და (▲) 0.05M კალიუმის პერქლორატის თანაობისას, მიკროემულსიაში 0.01M AOT-ის ფიქსირებულ კონცენტრაციაზე. W -არ არის ფიქსირებული.



ნახაზი 4.3.12. ორთო-ნიტროანილინის (Brij-30+AOT) შერეულ შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა 0.05 M ნატრიუმის აცეტატისა (■) და 0.05 M კალიუმის პერქლორატის თანაობისას (□).


როგორც დიაგრამიდან ჩანს (ნახ. 4.3.12), o-NA-ის (Brij-30+AOT)-ის მიცელასთან შეკავშირების მუდმივებს პერქლორატის თანაობისას უფრო მაღალი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე აცეტატის თანაობისას. ეს შედეგი შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: ქაოტოპული პერქლორატი, ღარიბი ჰიდრატული შრის გამო ახლოს მიდის თავურ ჯგუფებთან, არღვევს პოლიოქსიეთილენური ჯგუფების წყლის მოლეკულებთან დამყარებულ წყალბადურ ბმებს, რაც აიოლებს o-NA-ის თავურ ჯგუფებთან შეკავშირებას. შესაბამისად, შეკავშირების მუდმივების მნიშვნელობები პერქლორატის თანაობისას აჭარბებს აცეტატის შემთხვევაში მიღებულ მნიშვნელობებს (როგორც 4.2.2- თავშია განხილული).

4.3.5. ნატრიუმის ქოლატით მოდიფიცირებული AOT-ის საფუძველზე მომზადებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა


შებრუნებული მიკროემულსიები წარმატებით გამოიყენება, როგორც ბიოლოგიური მემბრანების ხელოვნური მოდელები. არაიონური ზან-ის საფუძველზე მომზადებული შებრუნებული მიკროემულსიების იონური ზან-ით მოდიფიცირება აძლიერებს მის მსგავსებას ბუნებრივ უჯრედულ მემბრანასთან. როგორც ცნობილია, ნაღვლის მჟავები ბიოლოგიური ზან-ებია და მიცელურ სისტემებში გამოყენების ფართო სპექტრი გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ნაღვლის მჟავას მარილის, როგორც მიცელის გულში შეტანილი დანამატის გავლენის შესწავლა განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა. ანიონური ბიოლოგიური ზან-ის სახით დანამატად შეირჩა ნაღვლის მჟავას ნატრიუმიანი მარილი - ნატრიუმის ქოლატი (NaC).

AOT -ის მზარდი კონცენტრაციების სერიაში შევიტანეთ 5 mM, 10 mM და 50 mM ნატრიუმის ქოლატის წყალხსნარი, ვაკვირდებოდით o-NA-ის სპექტრულ

ცვლილებებს (ნახაზი 4.3.13) და ვითვლიდით *o*-NA-ის AOT-ის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივებს (ნახაზი 4.3.14).




ნახაზი 4.3.13. ორთო-ნიტროანილინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში AOT-ის კონცენტრაციაზე, (▲)- 5mM ნატრიუმის ქოლატის, (●)- 10mM ნატრიუმის ქოლატისა და (■)- 50mM ნატრიუმის ქოლატის თანაობისას.



ნახაზი 4.3.14. ორთონიტროანილინის AOT-ის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების მუდმივების დიაგრამა მიკროემულსიაში 1- წყლის, 2- 5mM ნატრიუმის ქოლატის, 3- 10mM ნატრიუმის ქოლატისა და 4- 50mM ნატრიუმის ქოლატის თანაობისას.

როგორც ნახაზიდან ჩანს, o-NA-ის შეკავშირების მუდმივას (ნახ. 4.3.14) აქვს უფრო მცირე მნიშვნელობა, როცა AOT-ის შებრუნებულ მიცელაში გვაქვს მხოლოდ სუფთა წყლის წვეთი. ხოლო, როცა შებრუნებული მიცელა მოდიფიცირებულია ნატრიუმის ქოლატის დანამატებით, შეკავშირების მუდმივას (K_s) მნიშვნელობა 5mM NaC-ის შეტანისას თითქმის 2-ჯერ იზრდება, თუმცა შემდგომ 10mM და 50mM NaC-ის ხსნარების შეტანისას კი მცირდება.

შედეგი შეიძლება ავხსნათ შემდეგნაირად: შებრუნებული მიკროემულსიის 10 mM ნატრიუმის ქოლატით მოდიფიცირების შემთხვევაში ქოლატის აგრეგატები იმყოფებიან მიცელის გულში არსებულ წყალში. ხოლო 5 mM ნატრიუმის ქოლატით მოდიფიცირების შემთხვევაში ქოლატის მონომერები ლოკალიზებულია წყალი/ზან-ის გამყოფ ზედაპირზე AOT-ის თავურ ჯგუფებს შორის და არ გადადიან როგორც მიცელური აგრეგატები მიკროემულსიის წყლის წვეთში (ნახაზი 4.3.15). შესაბამისად AOT-ის თავურ ჯგუფებს შორის NaC-ის მონომერების ჩანერგვის შედეგად AOT-ის თავური ჯგუფები o-NA-სთვის ადვილად მიღწევადი ხდება.



ნახაზი 4.3.15. AOT-ის შებრუნებული მიცელის სქემატური ნახაზი, როდესაც მოდიფიცირებულია 1) სუფთა წყლით, 2) 5mM NaC-ით, 3) 10 mM NaC-ით და 4) 50mM NaC-ით.


ამიტომ 5mM NaC-ით მოდიფიცირებისას შეკავშირების მუდმივა თითქმის 2-ჯერ იზრდება. მაგრამ შემდგომ უკვე 10 mM NaC-ის შეტანა ამცირებს შეკავშირების მუდმივას (K_b) წყლის გულში მიცელური აგრეგატების წარმოქმნის გამო, რაც ხელს უწყობს თავისუფალი წყლის შემცირებას ორი გზით: 1) თავისუფალი წყლის პერიფერიულ უბნებში გადასვლით და 2) ბმული წყლის ფრაქციის ზრდით. ნატრიუმის ქოლატის მიცელების ჰიდრატაცია და o-NA-ის ტრანსპორტი AOT-ის თავურ ჯგუფებთან წყლის საშუალებით ხდება. თავისუფალი წყლის შემცირების გამო კი ძნელდება o-NA-ის დიფუზია AOT-ის თავურ ჯგუფებთან. შესაბამისად შეკავშირების მუდმივა (K_b) მცირდება უკვე 10mM -ზე და კიდევ უფრო მეტად, თითქმის 3-ჯერ, 50mM NaC-ის კონცენტრაციაზე.

შეკავშირების მუდმივას ასეთი მკვეთრი შემცირება სავარაუდოდ დაკავშირებულია წყლის წვეთში ქოლატის პირველადი მიცელების (რომლებშიც მონომერები აგრეგირებულნი არიან ჰიდროფობური ურთიერთქმედებით) შემდგომი აგრეგაციით

მეორად მიცელებში (რომლებშიც ისინი ერთმანეთთან აგრეგირდება წყალბადური ბმებით), რაც კიდევ უფრო ართულებს o-NA-ის შეკავშირებას AOT-ის თავურ ჯგუფებთან.


4.3.5.1. ნატრიუმის ქოლატით მოდიფიცირებული Brij-30-ის საფუძველზე მომზადებული მიკროემულსიის მიკროგარემოს შესწავლა

Brij-30 -ის მზარდი კონცენტრაციების სერიაში შევიტანეთ 0.01 M, 0.05 M 0.1 M ნატრიუმის ქოლატის წყალხსნარი ისეთი რაოდენობით, რომ [წყალი]/[ზანის] თანაფარდობა ყოფილიყო 1-ის ტოლი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წყლის შემთხვევაში. ნახაზებზე მოცემულია o-NA-ის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულების მრუდები შებრუნებულ მიცელაში Brij-30-ის კონცენტრაციაზე, 0.01 M, 0.05 M და 0.1 M ნატრიუმის ქოლატის თანაობისას, როდესაც $W=1$.



ნახაზი 4.3.16. ორთო-ნიტროანლინის შთანთქმის მაქსიმუმების დამოკიდებულება შებრუნებულ მიცელაში Brij-30 -ის კონცენტრაციაზე, (●)- 10mM ნატრიუმის ქოლატის, (■)- 50mM ნატრიუმის ქოლატისა და (Δ)- 100mM ნატრიუმის ქოლატის თანაობისას. $W=1$.

ექსპერიმენტიდან მიღებული სპექტრული მონაცემების საფუძველზე ხდებოდა o-NA-ის Brij-30-ის შებრუნებულ მიცელასთან შეკავშირების შეფასება მიკროემულსიაში 0.01 M, 0.05 M და 0.1 M ნატრიუმის ქოლატის თანაობისას (ნახაზი 4.3.17).



